საქართველო

28669-01-2-201507291000

საგარეო საქმეთა სამინისტრო

№ 01/28669
29/07/2015

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია

გაცნობებთ, რომ ხელი მოეწერა 2011 წლის 7 ოქტომბრის „საქართველოს (საქართველოს მთავრობა) და საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის ფინანსური პროტოკოლის" ცვლილებების წერილი-შეთანხმებას (2015 წლის 2 ივლისი, ბატონი ჰერვ სარნელი, აზერბაიჯანში საფრანგეთის საელჩოს ეკონომიკური მრჩეველი და 2015 წლის 16 ივლისი, საქართველოს ფინანსთა მინისტრი ბატონი ნოდარ ხადური).

2011 წლის 7 ოქტომბრის „საქართველოსა (საქართველოს მთავრობა) და საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის ფინანსური პროტოკოლი"-ს რატიფიკაცია საქართველოს პარლამენტმა მოახდინა 2011 წლის 13 ოქტომბრის N5116-IIს დადგენილებით. შესაბამისად, საქართველოს კონსტიტუციის 65-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტისა და ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-6 პუნქტის გათვალისწინებით, ზემოაღნიშნული ცვლილებების წერილი-შეთანხმება, ასევე საჭიროებს პარლამენტის მიერ რატიფიკაციას.

ყოველივე შემოაღნიშნულიდან გამომდინარე და „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ" საქართველოს კანონის მე-15 მუხლის შესაბამისად, საქართველოს პარლამენტში სარატიფიკაციოდ წარდგენის უზრუნველყოფის მიზნით, გიგზავნით, ზემოაღნიშნული წერილი-შეთანხმების ინგლისურენოვანი დედნისა და ქართულენოვანი ოფიციალურად დამოწმებული თარგმანის ასლებს, განმარტებით ბარათს, შესაბამისი უწყებების დასკვნებსა და შეთანხმების ფურცელს.

ზემოაღნიშნული წერილი-შეთანხმების პარლამენტში წარდგენის შემთხვევაში, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, მასზე მომხსენებლად დაინიშნოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელი.

დანართი: 23 ფურცელი.

პატივისცემით,
გიგი გიგიაძე

მინისტრის მოადგილე

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია
№ 58783
29 07 2015
24

0118 თბილისი, შიო ჩიტაძის ქ. №4; ტელ: (+99532) 294 50 00; ფაქსი: (+995 32) 294 50 01
www.mfa.gov.ge

საქართველოს
ფინანსთა სამინისტრო

MINISTRY OF FINANCE
OF GEORGIA

N 07-02/77853
24/07/2015

77853-07-02-2-201507241419

საქართველოს საგარეო საქმეთა
მინისტრის მოადგილეს
ქალბატონ ხათუნა თოთლაძეს

ქალბატონო ხათუნა,

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმდინარე წლის 20 ივლისის №07-02/75608 წერილზე დამატებით გაცნობებთ, რომ 2015 წლის 16 ივლისს ხელმოწერილ საქართველოს (საქართველოს მთავრობა) და საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის 2011 წლის 7 ოქტომბერს ხელმოწერილი „ფინანსური პროტოკოლი"-ს ცვლილების წერილი-შეთანხმების საქართველოს პარლამენტში რატიფიცირებისთვის წარმდგენნი და მომხსენებლები იქნებიან საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილეები ბატონი გიორგი კაკაურიძე და ბატონი ლაშა ხუციშვილი.

პატივისცემით,

დავით ლეჟავა

მინისტრის მოადგილე

ქ.თბილისი, 0114, ვ. გორგასლის ქ. №16, ტელ.:2261412, ფაქსი: 2262409,ელ-ფოსტა: info@mof.ge
16 Gorgasali Street, Tbilisi 0114, Georgia, Tel.: 2261412, Fax:2262409. E-mail: info@mof.ge

საქართველოს
ფინანსთა სამინისტრო

MINISTRY OF FINANCE
OF GEORGIA

N 07-02/68871
02/07/2015

68871-07-02-2-201507021507

დასკვნა

საქართველოს (საქართველოს მთავრობა) და საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის 2011 წლის 7 ოქტომბერს ხელმოწერილი „ფინანსური პროტოკოლი"-ს ცვლილების წერილი-შეთანხმების პროექტზე

საქართველოს (საქართველოს მთავრობა) და საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის 2011 წლის 7 ოქტომბერს ხელმოწერილი „ფინანსური პროტოკოლი"-ს ცვლილების წერილი-შეთანხმების პროექტთან დაკავშირებით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში შენიშვნა არ გააჩნია.

მოსალოდნელია, რომ აღნიშნული „ფინანსური პროტოკოლი"-ს ცვლილების წერილი-შეთანხმების გაფორმება საფინანსო-ეკონომიკური თვალსაზრისით დადებით შედეგს მოიტანს და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიზანშეწონილად მიაჩნია მისი ხელმოწერა.

დავით ლეჟავა

მინისტრის მოადგილე

ქ.თბილისი, 0114, ვ. გორგასლის ქ. №16, ტელ.:2261412, ფაქსი: 2262409,ელ-ფოსტა: info@mof.ge
16 Gorgasali Street, Tbilisi 0114, Georgia, Tel.: 2261412, Fax:2262409. E-mail: info@mof.ge

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE OF GEORGIA

საქართველო, ქ. თბილისი, 0114, გორგასლის ქ.24 ა. ტელ.: 2 40–51–48, 2 40-58-36; ელ.ფოსტა: info@justice.gov.ge
24 a, Gorgasali str., 0114, Tbilisi, Tel.: 2 40–51–48, 2 40-58-36, E-MAIL: info@justice.gov.ge

KA010192297896815

№4981

24 / ივნისი / 2015 წ.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილეს,
ბატონ გიორგი კაკაურიძეს

ბატონო გიორგი,

საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2015 წლის 12 ივნისის № 07-02/60366 წერილით წარმოდგენილი საქართველოსა (საქართველოს მთავრობა) და საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის 2011 წლის 7 ოქტომბერს ხელმოწერილი „ფინანსური პროტოკოლის" (შემდგომში – „ფინანსური პროტოკოლი") ცვლილების წერილი-შეთანხმების პროექტი (შემდგომში – „ცვლილების პროექტი"), რომელთან დაკავშირებითაც გაცნობებთ შემდეგს:

ფინანსური პროტოკოლის მე-11 მუხლის („ცვლილებები") თანახმად, ფინანსურ პროტოკოლში ცვლილებები ძალაში შედის პროტოკოლის მე-10 მუხლში აღნიშნული პროცედურის შესაბამისად. ამასთან, ფინანსური პროტოკოლის მე-10 მუხლის („ძალაში შესვლა") თანახმად, „პროტოკოლი ძალაში შედის მისი ხელმოწერის შემდეგ ქართული მხარის მიერ ფრანგული მხარისათვის გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების დღეს...". ცვლილების პროექტის ბოლო პარაგრაფის თანახმად კი, „შემოთავაზებული შესწორებები ძალაში შევა იმ თარიღით, როცა ფრანგული მხარე წერილობით აცნობებს მსესხებელს, შეტყობინების მიღების შესახებ...". ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ცვლილების პროექტით გათვალისწინებული ძალაში შესვლის პროცედურა ეწინააღმდეგება ფინანსური პროტოკოლით გათვალისწინებულ პროცედურას და საჭიროებს მასთან შესაბამისობაში მოყვანას.

აქვე შევნიშნავთ, რომ „სახელმწიფო ვალის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის და „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, ცვლილების პროექტი საჭიროებს საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიკაციას.

პატივისცემით,

მინისტრის მოადგილე

მიხეილ სარჯველაძე

საქართველო

23633-01-2-201506231504

საგარეო საქმეთა სამინისტრო

№ 01/23633
23/06/2015

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

გიგზავნით „საქართველოს (საქართველოს მთავრობა) და საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის 2011 წლის 7 ოქტომბერს ხელმოწერილი „ფინანსური პროტოკოლი"-ს ცვლილებების" წერილი-შეთანხმების პროექტის თაობაზე საგარეო საქმეთა სამინისტროს დასკვნას.

ამასთან, გაცნობებთ, რომ „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, „საქართველოს (საქართველოს მთავრობა) და საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის 2011 წლის 7 ოქტომბერს ხელმოწერილი „ფინანსური პროტოკოლი"-ს ცვლილებების" წერილი-შეთანხმება წარმოადგენს საერთაშორისო ხელშეკრულების პროექტს, რომელიც ითვალისწინებს კანონით დადგენილი შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების გავლას.

დანართი: 1 ფურცელი.

პატივისცემით,
ირინე ბართაია

დეპარტამენტის დირექტორი

საერთაშორისო სამართლებრივი დეპარტამენტი

0118 თბილისი, შიო ჩიტაძის ქ. №4; ტელ: (+99532) 294 50 00; ფაქსი: (+995 32) 294 50 01
www.mfa.gov.ge

საქართველო

23632-01-2-201506231503

საგარეო საქმეთა სამინისტრო

№ 01/23632
23/06/2015

დასკვნა
„საქართველოს (საქართველოს მთავრობა) და საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის 2011 წლის 7 ოქტომბერს ხელმოწერილი „ფინანსური პროტოკოლი"-ს ცვლილებების" წერილი-შეთანხმების პროექტის თაობაზე

სამინისტრომ განიხილა „საქართველოს (საქართველოს მთავრობა) და საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის 2011 წლის 7 ოქტომბერს ხელმოწერილი „ფინანსური პროტოკოლი"-ს ცვლილებების" წერილი-შეთანხმების პროექტი და მის მიმართ გააჩნია შემდეგი სახის შენიშვნები და წინადადებები:

გასათვალისწინებელია, რომ წერილი-შეთანხმების ბოლო აბზაცის თანახმად, შემოთავაზებული შესწორებები ძალაში შევა იმ თარიღით, როცა ფრანგული მხარე წერილობით აცნობებს მსესხებელს, შეტყობინების მიღების შესახებ, რომ საქართველომ დაასრულა ყველა საჭირო შიდასახელმწიფოებრივი პროცედურა აღნიშნული წერილი-შეთანხმების ეფექტურობისათვის. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ 2011 წლის 7 ოქტომბრის „საქართველოსა (საქართველოს მთავრობა) და საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის ფინანსური პროტოკოლი"-ს რატიფიკაცია საქართველოს პარლამენტმა მოახდინა 2011 წლის 13 ოქტომბრის N5116-IIს დადგენილებით. ამრიგად, საქართველოს კონსტიტუციის 65-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტისა და ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-6 პუნქტის გათვალისწინებით, ზემოაღნიშნული ცვლილებები საჭიროებს პარლამენტის მიერ რატიფიკაციას.

ყოველივე ზემოაღნიშნულისა და ქვეყნის საგარეო პოლიტიკური და ეკონომიკური პრიორიტეტების გათვალისწინებით, სამინისტროს მიზანშეწონილად მიაჩნია, წარმოდგენილი წერილი-შეთანხმების დადება.

პატივისცემით,
გიგი გიგიაძე

მინისტრის მოადგილე

0118 თბილისი, შიო ჩიტაძის ქ. №4; ტელ: (+99532) 294 50 00; ფაქსი: (+995 32) 294 50 01
www.mfa.gov.ge

KA020177837266015

საქართველოს
ეკონომიკისა და მდგრადი
განვითარების სამინისტრო

MINISTRY OF ECONOMY
AND SUSTAINABLE
DEVELOPMENT OF GEORGIA

0108 თბილისი, ჭანტურიას ქ. N12
12, G. Chanturia str., 0108 Tbilisi, Georgia

Tel.: (+995 32) 2 99 11 05; 2 99 11 11
Fax.: (+995 32) 2 921534

№ 09/4544

26 / ივნისი / **2015** წ.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილეს
ბატონ გიორგი კაკაურიძეს

ბატონო გიორგი,

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ განიხილა თქვენი წერილით (N07-02/60369, 12.06.2015წ.) წარმოდგენილი, საქართველოს და საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობებს შორის, 2011 წლის 7 ოქტომბერს ხელმოწერილი "ფინანსური პროტოკოლის" ცვლილებასთან დაკავშირებული წერილი-შეთანხმების პროექტი.

გაცნობებთ, რომ წარმოდგენილ დოკუმენტთან დაკავშირებით, სამინისტროს, კომპეტენციის ფარგლებში, შენიშვნები არ გააჩნია.

პატივისცემით,

მინისტრის მოადგილე

ირმა ქავთარაძე

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და
ინფრასტრუქტურის სამინისტრო

**MINISTRY OF REGIONAL DEVELOPMENT AND
INFRASTRUCTURE OF GEORGIA**

1858-01-2-201506121818

N 01/1858
12/06/2015

**საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილეს,
ბ-ნ გიორგი კაკაურიძეს**

ბატონო გიორგი,

გაცნობებთ, რომ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ (შემდგომში - სამინისტრო) განიხილა თქვენი 2015 წლის 12 ივნისის №07-02/60363 წერილი (სამინისტროში რეგისტრაციის №3395/01; 12.06.2015), რომლითაც წარმოდგენილია საქართველოს და საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის 2011 წლის 7 ოქტომბერს გაფორმებულ ფინანსურ პროტოკოლში (საგანი: ფინანსური მხარდაჭერა მესტიის ხეობაში სათხილამურო საბაგიროების მოწყობასთან დაკავშირებით) ცვლილების შეტანის შესახებ ხელშეკრულების პროექტი.

აღვნიშნავთ, რომ სამინისტროს, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, არ გააჩნია შენიშვნები/კომენტარები თქვენი ზემოაღნიშნული წერილით წარმოდგენილ ცვლილების ხელშეკრულების პროექტთან დაკავშირებით.

პატივისცემით,

თენგიზ შერგელაშვილი

მინისტრის მოადგილე

საქართველო, 0160, თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 12, ტელ: (+995 32) 510 700; ფაქსი: (+995 32) 510 722
12, Kazbegi Ave., 0160, Tbilisi, Georgia; Tel.: (+995 32) 510 700; Fax: (+995 32) 510 722

საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

2-04/2047-15
16.06.2015

საქართველოს ფინანსთა
მინისტრის მოადგილეს
ბატონ გიორგი კაკაურიძეს

თქვენს 2015 წლის 12 ივნისის
N07-02/60367 წერილზე

ბატონო გიორგი,

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა განიხილა საქართველოსა და საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის 2011 წლის 7 ოქტომბერს ხელმოწერილი „ფინანსური პროტოკოლის" ცვლილების წერილი-შეთანხმების პროექტი.

გაცნობებთ, რომ ეროვნულ ბანკს, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, წარმოდგენილი დოკუმენტის მიმართ შენიშვნები არ აქვს.

პატივისცემით,

ოთარ ნადარაია

ვიცე-პრეზიდენტი

0114 / თბილისი / სანაპიროს 2 / ტელ.: 2406 406, 2406 120/ ფაქსი: 2406 577/ ელ. ფოსტა: info@nbg.gov.ge / კოდი: 20410484
2 Sanapiro str/ Tbilisi 0114/ Tel.: 2406 406, 2406 120/ Fax: 2406 577/ E-mail: info@nbg.gov.ge / code: 20410484
www.nbg.ge